საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ეჯიბი

ეჯიბი (არაბ. ჰაჯიბ – მეფის მეკარე, კარისკაცი), 1. ერთ-ერთი დიდმოხელე ქართველი მეფის სასახლეში, მეკარე, მეფისთვის აჯა-სათხოვართა მომხსენებელი. ამირეჯიბის ხელქვეითი. საქართველოში ე-ები ჰყავდათ დიდებულ ხელისუფლებსაც და მაღალი წრის მანდილოსნებსაც. სელჩუკთა სახელმწიფოში სასახლის მსახურთა უფროსი იყო საგანგებო მოხელე „დიდი ჰაჯიბი" („ჰაჯიბთ-ჰაჯიბი"). 2. (ეთნოგრ.) ქართ. საქორწინო ცერემონიალში ვაჟის მაყრების უფროსი, რ-იც „მეფის" (ნეფის) წარმომადგენელი და ნება-სურვილის აღმსრულებელი იყო. მთიულეთში ე. სასიძოს მკვიდრი ბიძაშვილი უნდა ყოფილიყო, რ-ის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა ჯვარდაწერილი ნეფე-დედოფლისათვის გვირგვინის მოხდა იყო. ამ მნიშვნელობით ე-ის გარდა გვხვდება სხვა ტერმინებიც. მაგ., „მეჯვარე", „ხელისმომკიდე".

ლიტ.: ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ., ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960; ჭ ყ ო ნ ი ა ი., ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, ნაწ. 1, თბ., 1955; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 2, ნაკვ. 1, თბ., 1982 (*თხზ.* თორმეტ ტომად, ტ. 6).

ი. ფუტკარაძე

ვ. ითონიშვილი